

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2020 წლის 3 ივლისის N02-01-139 ბრძანებით
სსიპ კოლეჯში „აისი“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

სსიპ კოლეჯში „აისი“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს განვითარების არსებული ეტაპის დადგენას და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას.

დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა), სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს.

დემინგის ციკლი „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ - გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდეგ სქემას:

1. პირველი ეტაპი - „დაგეგმე“

- 1.1. სამუშაო გეგმის შედგენა და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექტირება
- 1.2. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამების შემუშავება/დამატება.
- 1.3. სასწავლო პროცესის დაგეგმვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) სასწავლო გეგმის შესაბამისად.
- 1.4. პროგრამის განმახორციელებლების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამების მოდულებისა და სასწავლო გეგმების შესაბამისი კალენდარული გეგმების შემუშავება.
- 1.5. პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების/მსმენელების, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიებისათვის კითხვარების შემუშავება ან/და განახლება
- 1.6. მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა (ტრენინგები, კონსულტაციები და სხვა).
- 1.7. რისკების განსაზღვრა და შიდა ვერიფიკაციის დაგეგმვა შესაბამის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.
- 1.8. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირების დაგეგმვა.
- 1.9. პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა

2. მეორე ეტაპი - „განხორციელებული“

- 2.1. სასწავლო პროცესის წარმართვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ -კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად.
- 2.2. სასწავლო პროცესის სწავლების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება
- 2.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ -კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამის განხორციელებისას უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა.
- 2.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ -კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამის მასალებით და ნედლეულით უზრუნველყოფა.
- 2.5. მასწავლებლების მიერ სწავლის მისაღწევი შედეგების მიხედვით სანდო, ვალიდური, რელევანტური, ობიექტური, გამჭვირვალე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება.
- 2.6. სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების ორგანიზება შეფასების მიმართულების შესაბამისი ინსტრუმენტებით.
- 2.7. საწარმოო პრაქტიკის მაღალ დონეზე ორგანიზება და ჩატარება, დასაქმების პერსპექტივის გათვალისწინებით.
- 2.8. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების და გამოცდილების გაზიარების მიზნით მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ორგანიზება.
- 2.9. პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების/მსმენელების, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების გამოკითხვა შესაბამისი კითხვარების გამოყენებით.
- 2.10. დაინტერესებული მხარეების (შიდა, გარე) გამოკითხვების ჩატარება რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებით.
- 2.11. მასწავლებლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება (ტრენინგები, კონსულტაციები, გაცვლითი პროგრამები და სხვა).
- 2.12. პროგრამის ხელმძღვანელის/ების მიერ ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ -კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) განხორციელების მხარდაჭერის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება.

3. მესამე ეტაპი - „შეამოწმე“

- 3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ -კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, დაკვირვება და ანალიზი.
- 3.2. მოდულების კალენდარული გეგმების თემატიკისა და აქტივობების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის დადგენა.

3.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ -კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამის მსვლელობისას მასალებისა და ნედლეულის ხარჯვის კონტროლი.

3.4. თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა.

3.5. შიდა ვერიფიკაციის ჩატარება შესაბამისი წევრების ჩართულობით ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი წევრის მოწვევის საფუძველზე.

3.6. ჩატარებული გამოკითხვების იდენტიფიცირებული მონაცემების დამუშავება

3.7. მესამე ეტაპით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელია ხარისხის შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემდაგენლობაშიც შეიძლება შევიდნენ კოლეჯის დირექტორის მოადგილე ან/და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი ან/და წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი და სასწავლო დარგის მენეჯერები, ისე რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი.

4. მეოთხე ეტაპი - „განავითარე“

4.1. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ანალიზის შედეგების შეჯამების შესაბამისად პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზების - განვითარების გეგმების/სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

4.2. ანალიზის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში პროგრამებში ცვლილების შეტანა დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

4.3. სამიზნე ჯგუფების კონსულტირება/ტრენინგი და რეკომენდაციის მიცემა.

4.4. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარება.

4.5. სამუშაო გეგმის შესაბამისად ანგარიშების მომზადება

5. კომუნიკაცია და ანგარიშვალდებულება

5.1. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ -კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

5.2. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ხელმძღვანელი დაინტერესებულ მხარეებთან (მათ შორის ჯგუფის წევრებთან) კომუნიკაციის - ინფორმაციის გავრცელება/მოგროვების და უკუკავშირის მოპოვების მიზნით სარგებლობს ელექტრონული ფოსტის ან/და eflow -ს სისტემით.

5.3. ხარისხის უზრუნველყოფაზე ჩართული ყველა წევრი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე მექანიზმებით განსაზღვრული აქტივობები, რისთვისაც ჯგუფი თავის საქმიანობის ფარგლებში ადგენს სამუშაო გეგმას, ახორციელებს შეხვედრების დოკუმენტირებას არანაკლებ სამ თვეში ერთხელ, წლის დასასრულს საბოლოო ანგარიშს შესაბამისი რეკომენდაციებით წარუდგენს დირექტორს.

5.4. პროფესიული განათლების მასწავლებელი და ადმინისტრაციის თანამშრომელი თანაბრად ვალდებულია, კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს ჯგუფის ეფექტურად მუშაობას.

6. ცვლილებების შეტანის და დამტკიცების პროცედურა

- 6.1. აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლება აქვს კოლეჯის ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც მიმართავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და არგუმენტირებულად დაასაბუთებს ცვლილების საჭიროებას.
- 6.2. ცვლილების ინიცირების საკითხებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განიხილავს ჯგუფის წევრებთან და ინფორმაცია მიეწოდება დირექტორს.
- 6.3. შეთანხმებულ საკითხებზე ცვლილების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.